

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/12

(ოქმი N12)

ქ. ბათუმი

27 სექტემბერი 2017 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში ფირუზ ბოლქვაძის

სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმის შესახებ

საქმეზე: მინდია ბასილაძე ფირუზ ბოლქვაძის წინააღმდეგ

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ რუსუდან იმედაიშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები: გიორგი ირემაძე, ბექან გობაძე და ირაკლი დარცმელიძე

მხარეები:

სააპელაციო საჩივრის ავტორი: ფირუზ ბოლქვაძე

სააპელაციო მოპასუხე: მინდია ბასილაძე (არ ესწრებოდა)

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 08 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მინდია ბასილაძემ განცხადებით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს გადაუმოწმებელი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების გამო და მოითხოვა ფაქტების დადასტურება ან ფაქტების უარყოფა (ბოდიშის მოხდა).

**მინდია ბასილაძის საჩივარი:**

საჩივრის ავტორი პრეტენზიას აცხადებდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდგომში „მაუწყებელი“) ეთერში 2017 წლის 05

აგვისტოს გადაცემაში „მთავარი აჭარაში“ გასულ რეპორტაჟთან დაკავშირებით ([http://www.ajaratv.ge/\\_share.php?id=3520&lang=ge](http://www.ajaratv.ge/_share.php?id=3520&lang=ge)) რეპორტაჟი ეხებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წელს განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე მომზადებულ აუდიტორულ დასკვნას (სახელმწიფო შესყიდვებს, კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებს, სამივლინებო თანხების გამოყოფას და ა.შ). განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ჟურნალისტ ფირუზ ბოლქვაძის მიერ მომზადებულ პროდუქტში „ერთ-ერთი საკითხი იყო გამგეობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთველი. გადაცემის მსვლელობისას განსაკუთრებით ხაზი გაესვა (როგორც საინტერესო დეტალი) იმას, რომ მომწოდებელი კომპანიის დამფუძნებელი და გამგებლის მოადგილე ბასილაძეები არიან და მათ შორის არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი გასაგები მიზეზების გამო ვერ დადგინდა.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მოხდა გადაუმოწმებელი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება, რაც ზიანის მომტანი აღმოჩნდა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა), ასევე პირადად მისი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციისთვის.

მინდია ბასილაძემ მოითხოვა ფაქტებით, დადასტურებული სახით დადგენილიყო კომპანიის დამფუძნებლებსა და მას შორის კავშირი, დასახელებულიყო მიზეზები, რის გამოც ვერ მოხდა ამ კავშირის დადგენა ან მომხდარიყო ზემოხსენებული გადაცემიდან ამ ფაქტის უარყოფა (ან ბოდიშის მოხდა).

კომისიის სხდომაზე მინდია ბასილაძემ დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ უარი თქვა ბოდიშის მოხდის მოთხოვნაზე.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი კომისიის 2017 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება:**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ საჩივრების განმხილველმა კომისიამ (2017 წლის 09 აგვისტოს N02-03/16 ბრძანება) განიხილა მინდია ბასილაძის საჩივარი და 2017 წლის 19 აგვისტოს მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებაში მითითებულია შემდეგი:

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს არ მიუთითებია თუ რომელი მუხლები დაირღვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-დან ზემოაღნიშნული რეპორტაჟის მომზადების

დროს, თვითრეგულირების კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული განცხადების შინაარსის განხილვა მასში მოცემული გარემოებების გათვალისწინებით - განცხადების შინაარსი აშკარად ეხებოდა ზემოაღნიშნული კოდექსის მე-3 თავის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას: „მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება”.

კომისიამ დაადგინა შემდეგი გარემოებები:

რეპორტაჟის მომზადებისას ჟურნალისტი ერთი მხრივ ეყრდნობოდა მისთვის სანდო წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას რესპოდენტებს შორის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ, ხოლო შემდგომ კომპანიის წარმომადგენელთა უარმა ნებისმიერი სახის კომენტარის მიცემაზე, გაუმყარა ეჭვი მიწოდებული ინფორმაციის მართებულობის შესახებ - საბოლოო ჯამში, გამოჩნდა რომ რეპორტიორი სრულად დაეყრდნო, როგორც წყაროს, ასევე შინაგან რწმენას, თუმცა მაყურებელმა ეთერში მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი იხილა, სადაც კომპანიის 3 მეწილედან 2 ნამდვილად ბასილაძე გვარად - ეს კი თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მინდია ბასილაძე ენათესავება კომპანიის მეწილე რიმა და ამირან ბასილაძეებს.

რეპორტაჟში არ არის მოცემული მინდია ბასილაძის კომენტარი შესაძლო ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით - მაყურებელს გარკვეული ეჭვი გაუჩნდა, რომ თავად რესპოდენტს ბრალდებაზე/ეჭვზე პასუხის გაცემის საშუალება არ მიეცა.

ჟურნალისტს პირდაპირი გზით არ გამოუთქვამს ვარაუდი, რომ შესაძლოა, ბასილაძეები ნამდვილად ნათესავები არიან და გარიგებაში, რომელიც მუნიციპალური ფინანსური სახსრებით ძვრადღირებული ტექნიკის პირდაპირი და არა ტენდერის გზით შესყიდვას ითვალისწინებდა, შესაძლოა კორუფციული გარემოებები არსებობდეს, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერის მაყურებლისთვის შეთავაზება შეიძლება აღვიქვათ ირიბ გზად, ჟურნალისტს შესაძლო დარღვევაზე საზოგადოებისათვის ამგვარად მიენიშნებინა, თუმცა სამწუხაროდ, რეპორტაჟის ამგვარად მომზადებამ საკითხზე უფრო მეტი კითხვა გააჩინა, დაზუსტებული ფაქტების მიწოდების ნაცვლად - რეპორტაჟის ამ ნაწილს აშკარად დააკლდა ინფორმაციის გადამოწმება, მცდელობა ჟურნალისტის მხრიდან ყველა შესაძლო გზით მოეპოვებინა ინფორმაცია ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რეპორტიორს მისთვის სანდო წყაროებმა მიაწოდეს ინფორმაცია ასეთი კავშირის არსებობის შესახებ, ასევე სხვა გარემოებებმა (შესყიდვის თარიღის შეცვლა, შემენილი ტექნიკის ღირებულებაში სხვაობა კომპანიის ოფიციალურ ფეისბუქგვერდსა და ხელშეკრულებაში, გამარტივებული შესყიდვით

და არა ელექტრონული ტენდერის გზით შესყიდვა) მას ეჭვი გაუშარეს ამ კავშირისა და შესაძლო დარღვევის არსებობის შესახებ, მან სათანადოდ არ გადაამოწმა ინფორმაცია, ვერ მოიპოვა დამადასტურებელი ცნობები, რომელიც ამხელდა მაღალჩინოსანს ნათესავებთან მუნიციპალიტეტის რესურსების ხარჯზე გარიგების დადებაში, რითაც აშკარად დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი, კერძოდ, მუხლი 13, პუნქტი 2: „მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება“, ასევე მუხლი 14, პუნქტები 4 და 5: „არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მაუწყებელი უნდა დაეყრდნოს პირველწყაროს და საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ ინფორმაციას. როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციას მოხლოდ ერთი წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია“; „ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაუწყებელმა უნდა დააზუსტოს მისი წარმომავლობა და სიზუსტე. თუ შეუძლებელია ინფორმაციის სისწორის, უტყუარობისა და წარმომავლობის დაზუსტება, მაუწყებელმა უნდა აღნიშნოს, რომ ინფორმაცია დაუზუსტებელია“.

ზემოაღნიშნულის გადაწყვეტილებით კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- მაუწყებელთა კოდექსის თანახმად რედაქციამ ამავე გადაცემაში უნდა გააკეთოს განმარტება ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით: ხაზი გაესვას, რომ რეპორტაჟმა დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენის გარეშე წარმოშვა ეჭვი გამგეობის მაღალჩინოსანსა და კომპანიის მეწილეებს შორის არაკეთილსინდისიერი გარიგების დადების გარეშე.
- რაც შეეხება განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებულ მოთხოვნას, ნათესაური კავშირის დადგენასა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საზოგადოებისათვის მიწოდებაზე, ავლნიშნავთ, რომ კომისია არ არის უფლებამოსილი ამ მიმართულებით სამუშაო გაწიოს - ეს თავად რედაქციის კომპეტენცია და მოვალეობაა.

#### **ფირუზ ბოლქვაძის სააპელაციო საჩივარი:**

2017 წლის 29 აგვისტოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს, როგორც სააპელაციო ინსტანციას (შემდგომში - „მრჩეველთა საბჭო“), თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში სააპელაციო საჩივრით მიმართა ფირუზ ბოლქვაძემ.

სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ ფირუზ ბოლქვაძე არ ეთანხმება და ასაჩივრებს კომისიის გადაწყვეტილებას.

სააპელაციო საჩივარში მითითებულია:

- ეთერში არ გასულა გადაუმოწმებელი ინფორმაცია. კომპანიის წარმომადგენლებმა კომენტარი არ გააკეთეს. ეთერში გავიდა არა გადაუმოწმებელი ინფორმაცია, არამედ ფაქტის კონსტატაცია.

- ნათესაური კავშირის თაობაზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მიღებული იქნა წყაროებისგან. საჭირო იყო ორივე მხარეს დაედასტურებინა სატელევიზიო ინტერვიუს სახით. თუ ეს ასე არ მოხდებოდა და ჩაწერილი იქნებოდა ერთი მხარე, მაშინ მტკიცების ტვირთი ორივე შემთხვევაში გადმოვიდოდა ჩვენზე, რასაც ფაქტებით ვერ გავამყარებდით. თუ იქნებოდა კორუფციული გარიგება, შესაბამისი პირები აუცილებლად დამალავდნენ ნათესაურ კავშირს, რის გამოც კითხვა აღარ იქნა დასმული მინდია ბასილამძისათვის. რის გამოც შეირჩა წინადადება, რომელიც არც ადასტურებდა და არც უარყოფდა ნათესაურ კავშირს. მედიის თავისუფლების პრინციპების გათვალისწინებით კი, ფორმა, რომლითაც გადმოიცა კონკრეტული შინაარსი, არ შეიძლება იქცეს განხილვის საგნად, რადგან ასეთი დამოკიდებულება აჩენს ცენზურის რისკებს. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ფაქტი არ დამახინჯებულა და ზუსტად იქნა გადმოცემული ის ინფორმაცია, რაც სიუჟეტზე მუშაობის დასრულებისას არსებობდა.

- იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები უკვე კარგად არიან ინფორმირებული იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მათ შორის შესაძლო ნათესაური კავშირის დადასტურებას, არ არის სწორი ახალი სიუჟეტის მომზადება და ინფორმაციის დასაზუსტებლად გადაცემა.

### **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

მრჩვეელთა საბჭო (სააპელაციო კომისია) დადგენილად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

1. მაუწყებლის ეთერში 2017 წლის 05 აგვისტოს გადაცემაში „მთავარი აჭარაში“ გავიდა რეპორტაჟი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე მომზადებულ აუდიტორულ დასკვნას. რეპორტაჟის ავტორი იყო ჟურნალისტი ფირუზ ბოლქვაძე. რეპორტაჟში ერთ-ერთი საკითხი იყო გამგეობის

მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთველი. გადაცემის მსველობისას აღინიშნა, რომ მომწოდებელი კომპანიის დამფუძნებელი და გამგებლის მოადგილე ბასილაძეები არიან და მათ შორის არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი გასაგები მიზეზების გამო ვერ დადგინდა.

2. 2017 წლის 08 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მინდია ბასილაძემ განცხადებით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს გადაუმოწმებელი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების გამო და მოითხოვა ფაქტების დადასტურება ან ფაქტების უარყოფა (ბოდიშის მოხდა). კომისიის სხდომაზე მინდია ბასილაძემ დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ უარი თქვა ბოდიშის მოხდის მოთხოვნაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების (შემდგომში „დებულება“) მე-9 მუხლის შესაბამისად:

„1. კომისიის მიერ საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 სამუშაო დღის ვადაში (გადაწყვეტილების მიღებიდან), სააპელაციო კომისიაში;

2. სააპელაციო კომისიას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭო.“

სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ საჩივარი წარმოდგენილია დებულების მე-6 და მე-9 მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო კომისიის მიერ სხდომის დანიშვნის დღის თაობაზე დადგენილი წესით ეცნობა ყველა დაინტერესებულ მხარეს. მხარეების მიერ რაიმე დამატებითი წერილობითი მოთხოვნა, საჩივარი, თუ შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს მე-3 დამე-7 მუხლებით დადგენილი პროცედურებით.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საქმეზე და მიიღოს გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ კომისიის 2017 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში. კერძოდ სააპელაციო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს და არ აქვს პრეტენზია პროცედურულ საკითხებთან და ა.შ.

შესაბამისად სააპელაციო კომისია განიხილავს მხოლოდ საჩივარს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებთან დაკავშირებით.

სააპელაციო საჩივრის ავტორს თავის საჩივარში გამოკვეთილი აქვს სამი საკითხი. პირველი ორი ეხება მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო მესამე საკითხია გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული რეკომენდაცია, სადაც საუბარია განმცხადებლის მოთხოვნაზე, ნათესაური კავშირის დადგენასა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საზოგადოებისათვის მიწოდებაზე. გამომდინარე იქედან, რომ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მხოლოდ მოსაზრება და არა კონკრეტული გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო კომისია ვერ იმსჯელებს, რადგან აღნიშნულს ვერანაირი იურიდიული შედეგი ვერ მოყვება.

დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად:

1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე:

1.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოქმნილი დავები;

1.2. ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები.

შესაბამისად გადაწყვეტილება მიღებულია კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით. რაც შეეხება გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს და დასაბუთებას, სააპელაციო კომისია წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ კომისიის 2017 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების, მხარეების ახსნა-განმარტებების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შესწავლის შემდეგ მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ს 13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება“.

ამავე კოდექსის მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

„4. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მაუწყებელი უნდა დაეყრდნოს პირველწყაროს და საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ ინფორმაციას. როგორც

წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციას მხოლოდ ერთი წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია.

5. ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაუწყებელმა უნდა დააზუსტოს მისი წარმომავლობა და სიზუსტე. თუ შეუძლებელია ინფორმაციის სისწორის, უტყუარობისა და წარმომავლობის დაზუსტება, მაუწყებელმა უნდა აღნიშნოს, რომ ინფორმაცია დაუზუსტებელია”.

სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტი თავის საქმიანობაში უნდა იყოს სრულიად თავისუფალი. პროფესიული მოვალეობების აღსრულების დროს წარმოქმნილი წინააღმდეგობებისას პრინციპული და შეუპოვარი. ამავდროულად, მტკიცედ უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის სტანდარტი და საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი, უტყუარი და სანდო ინფორმაცია. რითაც დაცული იქნება როგორც საზოგადოების, ასევე იმ პირთა უფლებები, ვინც გავრცელებულ ინფორმაციასთან პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან. რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მაუწყებლის რეპუტაციას და მისდამი ნდობის ხარისხს.

ამდენად, მაუწყებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებული კითხვების / პრეტენზიების შემთხვევაში, მაუწყებლისავე ინტერესებში უნდა იყოს ინფორმაციის გადამოწმება და შესაძლებლობის შემთხვევაში მეტად დაზუსტებული ფორმით გავრცელება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების შესაბამისად, სააპელაციო კომისიამ (მრჩეველთა საბჭო) მიიჩნია:

(გადაწვეტილებას მხარი დაუჭირა: რუსუდან იმედაიშვილი, გიორგი ირემამე, ბეჟან გობამე, გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა: ირაკლი დარცმელიძე).

1. ფირუზ ბოლქვაძის სააპელაციო საჩივარი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის



შექმნილ კომისიის 2017 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია გამოცხადებისთანავე და მისი გასაჩივრება თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში დაუშვებელია.

3. დაინტერესებულ პირებს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ სასამართლოში საერთო წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დასაბუთებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირებს ჩაბარდეთ მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ)

რუსუდან იმედაიშვილი 

სააპელაციო კომისიის (მრჩეველთა საბჭოს) წევრი

გიორგი ირემაძე 

სააპელაციო კომისიის (მრჩეველთა საბჭოს) წევრი

ბექან გობაძე 

სააპელაციო კომისიის (მრჩეველთა საბჭოს) წევრი

ირაკლი დარცმელიძე (ხეიმონეშაძე ვაშლი განაცხადს)